პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 173 (13865)

ოთხშაბათი, 26 ივლისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

50 საუბილეო შრომითს ვახტზე

ნოგათეგი სამფოგლოს

△ ტყიბული. (საკ. კორ.). დიდი იუბილესათვის მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი გამარჯვება მოიპოვა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი შ. ჩიკვაიძე), რომელმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საკოქსე კონცენტრატის გამოშვების ნახევარი წლის დავალება. გეგმის გადამეტებით მეტალურგებმა უკვე მიიღეს 6 ეშელონი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

თავდადებულად შრომობენ და დღითიდღე აძლიერებენ კონცენტრატის გამოშვების ტემპს ფაბრიკის ცვლები, რომლებსაც გამოცდილი გამამდიდრებლები ვ. გელაძე, ა. გიორგაძე და ზ. ბუბაშვილი ხელმძღვანელობენ.

ფაბრიკაში ახლა ვერ ნახავთ ისეთ მუშას, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით არ ასრულებდეს. განსაკუთრებით ქების ღირსი არიან წარჩინებული მრეცხავები თ. გვენეტაძე, მ. ბოევა, ელექტროზეინკლები მ. ბუაძე, ვ. ბუცხრიკიძე და მემანქანე ზ. მოსკვინა.

△ ახალციხის დიატომიტის მომპოვებლებმა გადაჭარბებით გაანაღდეს ექვსი თვის საწარმოო დავალება. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ ცვლას, რომელსაც [illegible] ხელმძღვანელობს. ეს ცვლა მუდამ მოუცდენლად მუშაობს და ყოველდღიურად ზრდის საწარმოო მაჩვენებლებს. [illegible] პავლე მოდებაძეები, ლ. კაპანაძე, [illegible] ზ. ჯაოშვილი, ი. მანჩხაშვილი და სხვები ცვლაში ყოველდღიურად 8-9 ტონა დიატომიტს იღებენ ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 7 ტონისა, იბრძვიან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მომგირნეობისათვის. მათმა ცვლამ ათასობით მანეთის ეკონომია მისცა საწარმოს.

მნგრეველებს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მხარს უმშვენებენ გამყვანები ი. ინასარიძე, კ. კაპანაძე, გამმაგრებლები შ. ჩაფიძე, ვ. ჯაოშვილი, ელექტრომემანქანე ვ. ტაბატაძე.

ვ. ბერძენიძე,
ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს ინჟინერ-ნორმადარი.

დაე მტკიცდებოდეს ერთიანობა!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს

ძვირფასნო მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მოგესალმებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს.

დიდად საგულისხმოა ის, რომ თქვენ, ყველა კონტინენტის ახალგაზრდა შეიძლება მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის, სოციალისტური საუფლებოზე საზოგადოების გარდაქმნისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ბრძოლით.

მომავალი, ახალგაზრდა მეგობრებო, ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მონაწილეობას მიიღებთ საერთო ბრძოლასა და შრომაში. თქვენ იწყებთ აქტიურ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ ცხოვრებას მაშინ, როცა აღსავსენი ხართ ახალგაზრდობის შესანიშნავი თვისებებით — დაუშრეტელი ენერგიით, განახლებისა და შემოქმედების წყურვილით. თქვენ მემკვიდრეობად იღებთ უდიდეს გამოცდილებას, რომელიც შეიძინა კაცობრიობის ბედნიერებისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის უშიშარ მებრძოლთა მრავალმა თაობამ.

ახალგაზრდა თაობამ უნდა განავითაროს საზოგადოების საწარმოო ძალები, გააფართოოს ადამიანის ბატონობა ბუნებაზე, წინ წასწიოს მეცნიერება და კულტურა, აითვისოს კოსმოსის უკიდეგანო სივრცეები. ამასთან თქვენ იცით, რომ ჩაგვრის, რეაქციისა და ომის ძალები ნებაყოფლობით არ ტოვებენ ისტორიის ასპარეზს. დღესაც და მომავალშიც ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანის გონების ძლიერება ხმარდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა ინტერესებს, რომ მატერიალური და სულიერი სიკეთენი ეკუთვნოდეს იმათ, ვინც მათ ქმნის.

ვერაგი და საშიში მტაცებელი — იმპერიალიზმი არ ერიდება არავითარ ბოროტმოქმედებას, როცა ცდილობს ხელი შეუშალოს ხალხების წინსვლას პროგრესის გზით. ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომი ვიეტნამში, ისრაელის ფაშისტურ-აგრესიული ავანტურა ქვეყნების წინააღმდეგ, ფაშისტური გადატრიალება საბერძნეთში, კოლონიზატორთა ხრიკები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში — ყველა ეს და ბევრი სხვა ფაქტი მოწმობს, რომ გაძლიერდა იმპერიალიზმის აგრესიულობა და უფრო დიდი საფრთხე შეექმნა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროებას.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმის ერთგული საბჭოთა კავშირი მუდამ იდგება აგრესიის იმპერიალისტური პოლიტიკისა და ხალხთა კანონიერი უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის, მათი თავგასუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლის პირველ რიგებში.

საბჭოთა ადამიანებს, ისევე როგორც ყველა ქვეყნის მშრომელებს, სურთ იცხოვრონ მშვიდობიან ვითარებაში. ჩვენი ხალხის, მისი ახალგაზრდობის მასობრივი შრომითი ენთუზიაზმი და შემოქმედებითი აღმავლობა ხელს უწყობს სოციალისტური საშობლოს შემდგომ აყვავებას, მისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. საბჭოთა ადამიანები ამავე დროს უურადღებით ადევნებენ თვალს, რომ სულ უფრო მეტი საფრთხე ექმნება მშვიდობის საქმეს, რასაც ახლანდელი რთული საერთაშორისო ვითარება იწვევს.

იმპერიალიზმის აგრესიული წრეების აქტივიზაცია დაბეჯითებით მოითხოვს მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალების სიფხიზლისა და შეკავშირების გაძლიერებას. ეს არის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების საწინდარი. ყველა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა მოწოდებულია ერთად და მტკიცედ წინააღუდგეს ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის გათიშვისა და შესუსტების ყოველგვარ ცდებს.

დაე თქვენმა შეხვედრამ ხელი შეუწყოს მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობის ყველა რაზმის საბრძოლო სოლიდარობის შემდგომ განმტკიცებას!

დაე მტკიცდებოდეს ახალგაზრდა თაობის ერთიანობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

ლ. ბრეჟნევი,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის
გენერალური მდივანი

ნ. პოდგორნი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე



როგორც ცნობილია, გასულ სამეურნეო წელს მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობა ლენინის ორდენით დაჯილდოდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ესოდენ დიდი დაფასებით აღფრთოვანებული ინგირელი მეჩაიეები ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩაის კრეფაში ფართოდ გამოიყენონ საკრეფი მანქანები და ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულონ.

ნაკლისრი ვალდებულების შესრულებაში პირველობას არავის უთმობს მექანიზატორი გ. შედანია.

სურათებზე (ზემოთ) — ინგირის საბჭოთა მეურნეობაში საკრეფი მანქანები „საქართველო“ მუშაობის დროს; (ქვემოთ) — მექანიზატორი გ. შედანია.

ფოტო ს. კილაძისა.

შესრულებულია წლიური გეგმა

აგაშელ მეჩაიეთა პატაკი

საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩაგუნავამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნადარეიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. კუციამ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ აბაშელმა მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირობა გადაეცა ადრე გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებით ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უნდა შეესრულებინათ 20 აგვისტოსათვის. პლანტაციის კარგი მოვლით და ფოთლის ყოველგვარ ამინდში განუწყვეტელი კრეფის შედეგად 25 ივლისისათვის მოიკრიფა და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარდა 472 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 470 ათასი კილოგრამისა.

აბაშელების გადაწყვეტილებაა წლიური გეგმის ზევით მოკრიფონ და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარონ 300 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ინიციატორთა სიტყვა და საქმე

საუბილეო წელს მახარაძის რაიონის ნატანების შრომის ფრონტი ინიციატორობას ეწევა კოლმეურნეობის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი იმანე ბერძენიძე ხელმძღვანელობს, ჩაის უზვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და დია წერილით მიმართეს რესპუბლიკის მეჩაიეებს.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბ. წიფლიძეს, რომელმაც გვაცნობა: ნატანების კოლმეურნეობას 1 აპრილამდე უნდა მოეკრიფაო 2.162 ტონა ფოთოლი. ეს დავალება უკვე გადაჭარბებითი შესრულდა. მოეკრიფა და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩაბარდა 2.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. აქედან მეშიბრიგადის ინიციატორებმა — ბრიგადის წევრებმა მოკრიფეს 85 ტონა ფოთოლი ნაცვლად 70 ტონისა.

ბრიგადის წევრებმა იკისრეს ივლისში აბაშისტის ანბარიშში მოკრიფეს 8 ტონა, ხოლო მთლიანად კოლმეურნეობამ 200 ტონა ჩაის ნედლეული.

ვანელ მეაგრეგმუშეებთან

საუბილეო წელს კარგად შრომობენ ვანის რაიონის საგრენაჟო ქარხნის (დირექტორი ალ. ლასხიშვილი) კოლექტივი და ზონის მეაბრეშუმეები.

ჯერ კიდევ ივლისის პირველ ნახევარში დამზადებული იყო 15.798 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გაზაფხულის გამოკვებით გათვალისწინებული 14.800 კილოგრამისა. საშუალოდ ერთი კოლოფიდან წარმოებულია 99,3 კილოგრამი პარკი ნაცვლად 72 კილოგრამისა. გაზაფხულის გამოკვებით აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა განაღდებულია 110 პროცენტით.

ჟ. თვალაბაძე,
ა. ტუბელაშვილი,
კარბად. შრომობენ ამ საუბილეო წელს რესპუბლიკის მეცხოველეები. მთელ რიგ რაიონებში ვადაზე ორი თვითა და ათი დღით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის ცხრა თვის გეგმები.

ხაშურის რაიონმა 20 ივლისისათვის სახელმწიფოს მიაყიდა 3.996 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 3.880 ცენტნერისა, კვერცხის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 101,4 პროცენტით. სამტრედიის რაიონში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის დავალება შესრულებულია 112,2 პროცენტით, ვანის რაიონში — 100,5 პროცენტით, ხოლო კვერცხისა — 130,2 პროცენტით.

ვადაზე ორი თვით ადრე

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 9 თვის გეგმები გადაჭარბებით შესრულეს ჩოხატაურისა და აბაშის რაიონებმა და ტყიბულმა; რძისა — ყვარლის, საჩხერის რაიონებმა, ჭიათურამ და ტყიბულმა. სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის 9 თვის გეგმები დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ბოგდანოვკის, ადიგენის, ასპინძის, ქარელის, ბორჯომის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, ლაგოდეხის, მცხეთის, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებმა.

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

25 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვთან, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვთან, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ივან პრიმოვთან, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან. შეხვედრას დაესწრო აგრეთვე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ს. გიეროვი.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი.

შეხვედრის მონაწილეებმა გულთბილობისა და მეგობრობის ვითარებაში ერთმანეთს აზრი გაუზიარეს ორი პარტიისა და ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე.



დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა

საბჭოთა კავშირის მთავრობისა და მალტის მთავრობის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება ელჩების დონეზე სსრ კავშირსა და მალტას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. (საკდესი).

ქმური მსარდაჭერა

ბათუმი, 25 ივლისი. (საკდესი). აჭარის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აცხადებენ მტკიცე პროტესტს რეაქციის თარეშის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ს. გიეროვი.

იაპონელი გუბერნატორი თბილისში

თბილისში სტუმრად არის ნაგანოს პრეფექტურის გუბერნატორი ნისიძავა გონტირო, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით.

გუშინ, 25 ივლისს ნისიძავა გონტირო ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს მ. მ. ლელაშვილს. მას ახლდა მდივანი იოსიდა ტამონი.

მ. მ. ლელაშვილი მიესალმა სტუმარს და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობა სულ უფრო მეტად ვითარდება. საბჭოთა საზოგადოებრიობა, თქვა მან, ცდილობს ყოველნაირად გაფართოოს კულტურული გაცვლა და მეგობრული თანამშრომლობა სხვა ქვეყნების ხალხებთან. ყველა ქვეყანას შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარება ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას საქმეს.

იაპონელმა გუბერნატორმა ნისიძავა გონტირომ მადლობა გადაიხადა გულთბილობისა და ყურადღებისთვის. მან აღნიშნა, რომ ფართოვდება იაპონელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრული კავშირ-ურთიერთობა. პირადი კონტაქტები, სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლობა, განაცხადა ბატონმა ნისიძავამ, — ხალხთა დაახლოების, მათ შორის ურთიერთგაგების, ნდობისა და მეგობრობის დამყარების უტყუარი საშუალებაა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. ავაქიანი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ფლეტი, საქართველოს აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. გ. კოკლასშვილი. (საკდესი).

პლანეგის ახალგაზრდობა ოქტომბრის ქალაქში

ლენინგრადი, 25 ივლისი. (საკდესი). ახალგაზრდობის ტრასებით არის [illegible]ებული ახლა ლენინგრადი ყველა კონტინენტის 118 ქვეყანასთან. აქ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ჩამოვიდნენ საზღვარგარეთის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა 700-ზე მეტი წარმომადგენელი, ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების წარმოგზავნილნი.

სტუმრების ავტობუსთა მწკრივი ძლივს იკვალავს გზას ცოცხალ დერეფანში. რევოლუციის ქალაქის ახალგაზრდობა ზაფხულის ყვავილთა თაიგულებით, ღიმილით, მეგობრული ხელის ჩამორთმევით და, რა თქმა უნდა, სიმღერით ეგებება მსოფლიოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებს. ახალგაზრდები მღერიან სხვადასხვა ხალხის სიმღერებს, რომლებიც ეფინებნა ლენინის ქალაქის დილიან მზით გასხივოსნებულ ქუჩებს.

სტუმრების შესახვედრად მზად არის თავრიდის სასახლე, რომლის თაღებს ქვეშ არაერთზის წარმოუთქვამს სიტყვა ილიჩს. სმოლნის მახლობლად მდებარე ფართო ეზოები და სასტუმრო სასახლეები თითქოს გაახალგაზრდავებულან დღეს.

სასახლის კოლონადას ამშვენებს ხუთი ორდენის ლენტი, რაც მოწმობს, რომ სამშობლოს ხუთჯერ დაუჯილდოებია ლენინური კომკავშირი საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდობამ სამუდამოდ ჩაწერა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარი პირველი სახელმწიფოს ნასვლარსაუკუნოვან ისტორიაში...

10 საათია. ფანფარები შეხვედრის დაწყებას აუწყებენ მონაწილეებს. დარბაზი ერთი წამით გაყუჩდა და კვლავ იგრიალა ტაშმა — ახალგაზრდობა მიესალმება შეხვედრის პრეზიდიუმს — ლენინური რევოლუციური გვარდიის ვეტერანებს, ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მსოფლიოს ახალგაზრდობის უდიდეს ორგანიზაციათა წარმომადგენლებს.

ფეხზე ამდგარი ეგებება დარბაზი ყველაზე ნორჩ ლენინგრადელებს. პიონერებმა, რომლებსაც წითელი ვარსკვლავიანი ბუდიონური მუზარადები აბურავთ, წითელი მიხაკები მიართვეს სტუმრებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის მსოფლიო შეხვედრა გახსნა სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გ. იაროვოიმ. მან თქვა, რომ შეხვედრის მონაწილეებს მისალმება გამოუგზავნეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა. მისალმების ტექსტი წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ს. ტოლსტიკოვმა.

დარბაზში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელთა სიტყვებმა, რომლებმაც გზა დაუფიცეს მსოფლიოს ახალგაზრდობას. დიდხანს გრიალებდა ოვაცია დარბაზის თაღებში.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა № 1 კოსმონავტმა ი. გაგარინმა:

— როცა კოსმოსური ხომალდის იღუმენატორიდან პირველად დავინახე ჩვენი პლანეტა, აღმაფრთოვანა აყვავებული მიწის სილამაზემ. ასეთივე გრძნობა მიპყრობს ახლა, როცა ვუყურებ ამ დარბაზს, სადაც შეკრებილა დღეს დედამიწის ახალგაზრდობა, მისი იმედი მისი მომავალი.

ტრადიციული სიტყვები „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ წარმოთქვა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ა. სიზოვმა.

შეხვედრის მონაწილეებს მისალმენენ დიმოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი რ. მეკინი, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი ზ. ვოკოროუკლიცი, სრულიად საკავშირო ალკა ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. ნიკოლაევი.

მოსსენება „საბჭოთა ახალგაზრდობა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში“ გააკეთა სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა.

ბულგარეთის ახალგაზრდობა

20-დან 25-ივლისამდე საბჭოთა კავშირში ვიზიტად იმყოფებოდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტაკეო მიკი.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი საბჭოთა კავშირში

მოსკოვის გარდა ტ. მიკი ლენინგრადსაც ეწვია, იგი ამ ქალაქებში გაეცნო კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს. საბჭოთა ხალხს ცხოვრების ზოგიერთ მხარეს. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს და მის თანმხლებ პირებს გულთბილად ხვდებოდნენ.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფინეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, ესაუბრა სხვა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს.

შეხვედრებისა და საუბრების ფონზე, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე, რომელთა გადაჭრით ორივე მხარეა დაინტერესებული.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ. მიკიმ გაცვალეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის მორის დადებული საკონსულო კონვენციის სარატიფიკაციო სიგელები. სსრ კავშირის თავზეს წეურნეობის მინისტრმა ა. ა. ბოგომოლოვმა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტ. მიკიმ ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობისა და იაპონიის მთავრობის შეთანხმებას თევზის მეურნეობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ტ. ბოგომ გაცვალეს წერილები ზღვაში ხალხის გადარჩენის დროს თანამშრომლობის შეთანხმების დამატებათა შესახებ.

შეხვედრები და აზრთა გაზიარება ერთობ სასარგებლო იყო.

მიღწეულია შეთანხმება, რომ სსრ კავშირისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი შეხვედრა მოეწყოს ტოკიოში.

ამერიკელთა ზარალი

ჰანოი, 25 ივლისი. (საკდესი). ამერიკელმა დამსჯელებმა კვლავ იზარალეს საჰაერო ვიეტნამში. 8 და 9 ივლისს კუანგჩის პროვინციაში პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს დამსჯელთა 20 სატვირთო ავტომანქანა. შეტევის დროს დაიხოცა და დაიჭრა მოწინააღმდეგის 194 ჯარისკაცი, მათ შორის 182 ამერიკელი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სამხრეთ ვიეტნამის სააგენტო განთავისუფლებას.

სოლიდარობის ნერილი

ჰანოი, 25 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტია ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა სოლიდარობის წერილი ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა დადების ხუთი წლისთავის გამო.

წერილში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა, მხარს უჭერენ ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტის მიმართულებას ჟენევის შეთანხმებათა სამართლიანი კომუნისტური ბოტაქისა და ლაოსელი ხალხის ძირითად ეროვნულ უფლებათა ფეხქვეშ გათელვისათვის.

ლაოსელი ხალხის ბრძოლა, ნათქვამია წერილში ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ და ლაოსის დამოუკიდებლობის სუვერენიტეტის, ნეიტრალიტეტის, ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის, სამართლიანი ბრძოლაა.

ვიეტნამელი ხალხი თანამიმდევრულად და მოლიანად უჭერს მხარს ოთხპუნქტიან პროგრამას და ხტუპუნქტიან გადაწყვეტილებას ლაოსის პრობლემის მოწესრიგების შესახებ. რომლებიც მოიწერა 1965 წლის ოქტომბრის პოლიტიკური ერთობის ეროვნულმა კონფერენციამ. ვიეტნამელი ხალხი გადაჭერით მოითხოვს პატივი სცეს ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებს ლაოსის შესახებ, ნათქვამია წერილის დასასრულს.

ზანგთა მღელვარება ახალ ქალაქებს მოედო

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. (საკდესი). ზანგთა მღელვარება ამერიკის სულ ახალ-ახალ ქალაქებში ვრცელდება. კემბრიჯში (მერილენდის შტატი) პოლიციამ დღეს ალყა შემოარტყა ქალაქის ზანგთა უბანს. ცეცხლსასროელი იარაღით დაჭრეს „სტუდენტთა არაძალადური მოქმედების საკოორდინაციო კომიტეტის“ თავმჯდომარე ბრაუნი, რომელიც მიტინგზე გამოვიდა ჯონსონ-რაპიდსში (მიჩიგანის შტატი). ასობით ზანგი ჭაბუკი წინააღმდეგობას უწევს პოლიციას. ორჯერ ატყდა სროლა. 13 კაცი დაჭრილია.

ტოლიდში (ოჰაიოს შტატი) მობილიზაცია უკვეს ქალაქის მთელ პოლიციას. დაპატიმრებულია ოთხი ზანგი. ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) არ ცხრება გვიან ღამით დაწყებული შეტაკებანი პოლიციასა და ზანგ მოსახლეობას შორის.

პორტუგალიის მინისტრის ვიზიტი

ლონდონი, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ალბერტო ფრანკო ნოგეირა. როგორც პრეტორიიდან იუწყებიან, პორტუგალიის მინისტრის ვიზიტი ხუთ დღეს გასტანს.

როგორც გუშინ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ოფიციალურად გამოაცხადეს, თავისი ვიზიტის დროს ნოგეირა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებათან განიხილავს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პორტუგალიის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას ეხება.

პრეტორიაში მოლაპარაკების დღის წესრიგის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იქნება საკითხი სამხედრო თანამშრომლობის — ლისაბონ-პრეტორია-სოლსბერის უბადოებული ღერძის განმტკიცების შესახებ.

გარდა ამისა, მოლაპარაკების დროს განიხილავენ საკითხს სამხრეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიური ბლოკის შექმნის შესახებ. სამხრეთ-აფრიკელ რასისტებსა და პორტუგალიელ კოლონიზატორებს იმედი აქვთ ამ ბლოკში ჩაითრიონ და ახალი კოლონიური ფული დაადგან აფრიკის ქვეყნების მალავის, ლესოტოს, ბოტსვანუს დამოუკიდებლობას, რაც ახლახან მოიპოვეს მათ, აგრეთვე სვაზილენდს, რომელმაც მალე უნდა მიიღოს დამოუკიდებლობა.

საგერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

ლონდონი, 25 ივლისი. (საკდესი). საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პატაკოსმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, თუ იაროსის კუნძულზე მყოფმა პოლიტპატიმრებმა არ მოაწერეს ხელი განცხადებას იმის შესახებ, რომ უარს ამბობენ ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობაზე, ისინი სამუდამოდ დარჩებიან იქ. ამას იუწყება ათენიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი. ეგეოსის ზღვის ამ უნაყოფო კუნძულზე იტანჯება 2650 კაცი, სულ კი საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაპატიმრებულია 6.138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი"

ქალაქის ვიზიტი!

სახალხო კონტროლის გვერდი N 40

ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის ყოველი ღონისძიებით სრულიფოფა და მართვა, დემოკრატიული საფუძვლების განვითარება, მართვაში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა, აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება, ფრთის მეცნიერული ორგანიზაციის დამუშავება და ყველგან დანერგვა, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება — ასეთია ეკონომიკის ძალოვანი განვითარების ძირითადი გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ... „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი".

ავაჭროობის კულტურა

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ათელ საბჭოთა ხალხთან ერთად სავაჭრო დარგის მუშაკები თავდადებულად იბრძვიან ხუთწლედის მიერ დასახულ ამოცანათა პირნათლად შესრულებისათვის. ისინი ყოველდღე გულისხმიერად სწავლობენ და ითვალისწინებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, ამაღლებენ ვაჭრობის კულტურას, წარმატებით ანადგენენ საიუბილეო წლის სოციალისტურ ვალდებულებებს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის მომსახურების საქმეც.

როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტისა და სახალხო კონტროლის გალის რაიონული კომიტეტის, მათი აქტივის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, გალის რაიონში ნაყოფიერი მუშაობა გაწეული სავაჭრო ქსელის გაფართოებისათვის, ვაჭრობის კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის.

უკანასკნელ ხანს აშენდა და გალელ მშრომელებს მომსახურებას უწევს 21 ახალი სავაჭრო და თორმეტი საზოგადოებრივი კვების ობიექტი, რეკონსტრუქცია ან კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 15 საწარმოს, დაიდგა ახალი სამეცივრო და ტექნოლოგიური მოწყობილობა.

შარშან მოსახლეობას მიეყიდა 17 მილიონი მანეთის სასურსათო და სამრეწველო საქონელი. წარმატებებია მოპოვებული მიმდინარე წლის საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაშიც.

მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სუსტ კონტროლს უწევენ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტთა მუშაობას, რის შედეგადაც ბევრგან უხეშად ირღვევა სავაჭრო და სანიტარულ-ჰიგიენური წესები, ადგილი აქვს მომხმარებელთა მოტყუების ფაქტებს.

ვარდნილეფსების მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების № 3 სასადილოში (გამგე ა. ჯახაია) ანტიანიტარული მდგომარეობა აღმოჩნდა. შემოწმების დროს აქ არ ჰქონდათ მენიუ, მომზადებულ ხარჩოს 58 პროცენტი კალორია დააკლდა.

საბერიოს პროფტექნიკური სასწავლებლის № 4 სასადილოში (გამგე დ. ხეჩინოვი) მენიუს თანახმად უნდა ჰქონოდათ ბარდის სუფი. ბრინჯის ფაფა და კაკლეტი, რისთვისაც სათანადო პროდუქტები იყო გამოწერილი. ფაქტიურად მომზადებული იყო მაკარონის სუფი და გულიაში.

№ 1 მაღაზიაში (გამგე თ. ჩიქოვანი) გაუფორმებლად მუშაობდა გალის მეუფლე, რომელმაც მომხმარებელს 8 კაპიკი ხურდა არ მისცა, მოატყუა.

№ 6 მაღაზიაში (გამგე შ. ტაბაღუა) ფაიფურის ფინჯნები 2 მანეთად იყიდებოდა ნაცვლად 1 მან. 50 კაპიკისა. აქ საქონელი დასწლზე განლაგებულია უგემოვნოდ.

აჩიგვარის მუშათა სამომხმარებლო საზოგადოების (თავმჯდომარე ვ. ნაყოფია, სავაჭრო განყოფილების გამგე ზ. ქეცბაია) № 1 სასადილოში (გამგე მ. ხვიტია) ყველაფერი რიგზე არ არის. შემოწმების დროს ფასები არ იყო გამოკრული ძეხვზე. კომპოტზე, კონსერვზე, თამბაქოს ნაწარმზე

რაიონის ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციაში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების დაცვის საქმე. ნაკლოვანებებია კადრების მომზადების, შერჩევისა და განაწილების საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გურჯაანის სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტთან ერთად გამოარკვია, რომ უკანასკნელ ხანს გურჯაანის რაიკოოპკავშირის სავაჭრო ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა. გურჯაანელი კოოპერატორები მხარდამხარ მიჰყვებიან სოფლის მეურნეობის მუშაკებს ხოჯტომბრო სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ აღინიშნა ნაკლიც. საზოგადოებრივი კვების ობიექტები ძირითადად განლაგებულია ქალაქ გურჯაანში.

მთელი რიგი სასოფლო მაღაზიები (ველისციხე, ბაკურიანი, კაპრეთი, ვეჯინი და სხვ.) უზრუნველყოფილი არ არიან სავალდებულო ასორტიმენტის სამეურნეო, სამრეწველო და სასურსათო საქონლით.

რაიკოოპკავშირის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი უზრუნველყოფილი არ არის სამაცივრო დანადგარით, დამხმარე სათავსებით. ადგილი აქვს სანიტარული წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს. შემოწმების დროს ვაჭისუბნის სასურსათო მაღაზიები (გამგე-გამყიდველი თ. იაშვილი) ანტისანიტარია სუფევდა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიკოოპკავშირის სისტემაში ადგილი აქვს სავაჭრო წესების უხეშად დარღვევის ფაქტებს. სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების შემოწმებული 52 ობიექტიდან დარღვევა გამოვლინდა 17 ობიექტში.

№ 2 სასურსათო მაღაზიის (გამგე ქ. ზარდიაშვილი) გამყიდველმა შ. ქადაგიშვილმა 50 კაპიკად ღირებულ პროდუქტში მომხმარებელს 80 კაპიკი გადაახდევინა. გადიდებული ფასები ჰქონდათ გამოცხადებული ბაზრის სამეურნეო და ავტონაწილების მაღაზიებში.

შემოწმების დროს მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის სოფელ ზეგანის სასადილოს მზარეულს ს. სარქისოვს სათანადო საბუთის უქონლად 5 ბოჯი და 6 კილო ხბოს ხორცი აღმოაჩნდა. უსაბუთო პროდუქტები ჰქონდათ რესტორან „ალაზანშიც".

კაჯრეთის უნივერსალური მაღაზიის გამგე-გამყიდველ დ. ჩიკოშვილს მამაკაცის ფეხსაცმელზე ნაცვლად 4 მანეთისა და 75 კაპიკისა გამოცხადებული ჰქონდა ფასად 5 მანეთი.

ამ შემოწმებათა შედეგები განიხილეს საქართველოს კპ გურჯაანისა და გალის რაიკომების მიღწია გაფლანგვა-დატაცების მინიმუმამდე დაყვანას, ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნიან: ახალციხის, ონის, ვანის, ქარელის, სიღნაღის. ორჯონიკიძის, ტყიბულის, ხობის, ბარდანის, წყალტუბოს კოოპორგანიზაციები. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კოოპორგანიზაციათა რიცხვი, რომლებმაც შეძლეს თავიანთ მეურნეობაში. მიეღწიათ გაფლანგვა-დატაცების ფაქტების სრული ლიკვიდაციისათვის.

მაგალითად, თუ 1965 წელს გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები არ ჰქონდა მთელი სისტემის 65 პროცენტს, 1967 წელს ამ რიცხვმა 95 პროცენტს მიაღწია.

სამწუხაროდ, ამ მოწინავეთა გვერდით ჯერ კიდევ არიან კოოპორგანიზაციები, რომლებსაც ძალიან არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვთ. დიდი თანხებია გაფლანგული აფხაზკოოპკავშირის სისტემაში, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის, ბოლნისის, ზუგდიდის, ზესტაფონის, წულუკიძის, ადიგენის, ცაგერის, ბოგდანოვკის კოოპორგანიზაციებში.

საქართველოს მშრომელებთან ერთად კოოპერატორები ყოველნაირად ცდილობენ ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ცეკავშირის სისტემამ საიუბილეო წლის პირველი ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულა, მიიღო 2,3 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ამ მიღწევათა ფონზე სამარცვინო და შეუწყნარებელი იქნება, რომ საიუბილეო ბგერი ახალგაზრდა სპეციალისტი შემოეტანა ჩვენს სისტემას.

მიუხედავად ამისა, კვლავ ვლინდება კადრების შერჩევის დაგვიანებული წესის უხეში დარღვევები და ამ საკითხის გადაწყვეტისადმი დანაშაულებრივი, უპრინციპო დამოკიდებულების ფაქტები, ცოტა რდია ისეთი მაგალითი, როცა ადრე ანგარებითი ხასიათის დანაშაულისათვის დასჯილი, ნდობა-დაკარგული მუშაკი, რომელიც სისტემიდან გაძევებული უნდა იყოს, კვლავ განაგრძობს მუშაობას.

წულუკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობამ პრინციპულობა არ გამოიჩინა და დროზე არ გაათავისუფლა სამუშაოდან სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის მსჯავრდებული — რაიმაღაზიის უფროსი ბუხალტერი ა. ეფრემიძეს, ვ. ჭაკანიძეს და შ. ბუსაძეს სწორად რომ მოეხდინათ მატერიალურ, ფასეულობათა ინვენტარიზაცია, ხოლო ფასების ეკონომისტს ნ. მამფორიას შემოწმებინა საინვენტარიზაციო უწყისში შეტანილი და სარეალიზაციო ფასების სისწორე. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით აგრეთვე რაიკოოპკავშირის მთავარ ბუხალტერ დ. ყუფარაძეს და უფროს ბუხალტერებს შ. ფოწონაველსა და ხ. ბახტაძეს, რომლებმაც არ აღაქვეთეს ინვენტარიზაციის უხარისხოდ ჩატარება და მაღაზიიდან მაღაზიებზე საქონლის უნებართვოდ გადაცემა.

ამ ბოროტმოქმედთა ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა გამოვლინებულია საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკთა და ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მიერ ჩატარებული ერთობლივი შემოწმებით, დანაშავენი დასაბამრეული არიან და მალე სათანადო მიეზღვებათ.

ბოლნისის რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორის მატყლის მიმღები პუნქტის გამგე პ. ვარსიმაშვილი, სარგებლობდა რა ამავე კანტორის დირექტორის ი. ხაჩატუროვის განსაკუთრებული ნდობითა და ხელმეწყობით, სხვადასხვა ფიქტიური საბუთების გაფორმებით ითვისებდა თანხებს, ვარსიმაშვილმა ისარგებლა რაიკოოპკავშირის გამგეობის წაყრეებით და დაამზადებლების ა. ალაზოვის, ნ. მუსაევის, კ. იუსუბოვის, ნ. მამედოვის ხელშეწყობით, მატყლის ყალბი შესყიდვის ქვითრების შედეგენის გზით სახელმწიფო ბანკიდან მიიღო ნაღდი ფული და მითვისა. როგორც ვარსიმაშვილი, ისე მისი ხელშეშეწყობნი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ამ მხრივ სამარცხვინო მოვლენებია ზუგდიდის რაიკოოპკავშირის სისტემაშიც. ამ ორგანიზაციის გამგეობამ დაფნის მიმღები ახალი პუნქტები გახსნა, რაც გეგმით არ იყო გათვალისწინებული. ამ პუნქტებმა გეგმის გადამეტებით შეიძინეს დაფნის ფოთოლი. კ. კეზუაძ, მ. ქობალიამ და ა. ყორშიამ შეადგინეს დაფნის ფოთლის ფიქტიური შესყიდვის აქტები და ამით დიდძალი კოოპერაციული ქონება მითვისეს. ბოროტმოქმედნი დაკავებული არიან და მათ მიერ კოოპერაციათა სთვის მიყენებული ზარალი მთლიანად ანაზღაურებულია.

ამოცანა ახლა ის არის, რომ ვაჭრობაში არსებულ დამახინჯებათა აღკვეთისათვის ბრძოლაში ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრიობა, მეპატიოთ აქტივი. ყველა მუშაკის მიმართ უნდა გაკეთდეს მომხმარებლობა ნაცადი დევიზით: ენდე და შეამოწმე.

სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფის სრული ლიკვიდაციის წარმატებით გადაწყვეტისათვის უნინარეს ყოვლისა საჭიროა აღმოვფხვრათ ის პირობები, რომელთა შედეგად წარმოიშობა გაფლანგვები და საზოგადოებრივი საკუთრების მითვისება-დატაცების შემთხვევები. ბოროტმოქმედთ უნდა დავუსვათ ყველა გზა, რომლის საშუალებითაც შეესძლოთ, რომ მათ ხელთ იგდონ სახალხო დოვლათი.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები კვლავ მთელი ძალით განაგრძობენ ბრძოლას იმისათვის, რომ ყველა კოოპერატორი ერთნაირი შეგნებით, საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი მაღალი მორალური მოთხოვნით იდგეს პატიოსნების სადარაჯოზე, სახალხო ქონების დაცვის სადარაჯოზე, რითაც ისინი ღირსეულ წვლილს შეიტანენ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც საიუბილეო წელს არის დასახული.

ნ. ქეშაძე,
ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი.

ყველა გზა დავუსვოთ გამფლანგველს

სოციალისტური საკუთრების დაცვა — მთელი საზოგადოებრიობის საქმეა

სურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სახალხო კონტროლიორები (მარცხნიდან): მ. მაღრაძე, ვ. გეგეშიძე, ჟ. ნეფარიძე, რ. შულღაშვილი და ლ. ბილი ამოწმებენ ქსელის ხარისხს.

ფოტო გ. გოგობიანი.

სახალხო კონტროლის ადგილობრივ ორგანოებში

საიუბილეო წლის მოსავალი

ბორი. (საკ. კორ.). აქ გაიმართა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეების თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ბორის, ტასის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების 1967 წლის მოსავლის აღების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ მოხსენებები გააკეთეს ბორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა მ. ხუციშვილმა და „საქსოფლტექნიკის" ბორის რაიონული განყოფილების მმართველმა მ. აბალაძემ. მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ი. კუბანამ.

მომჭირნეობა, ეკონომიურობა

ფოთი. (საკ. კორ.). მომჭირნეობა და ეკონომიურობა ყველგან და ყველაფერში, — ამ დევიზით მუშაობენ ქალაქ ფოთის სახალხო კონტროლის ორგანოები, შორეულები.

გამასკუთრებით ნაყოფიერად წარმართავენ მუშაობას სავაჭრო ნავსადგურის, კიდრომექანიზმების ქარხნის, ნისქვილკომბინატის და სხვა საწარმოთა სახალხო კონტროლის ჯგუფები.

სავაჭრო ნავსადგურის სახალხო კონტროლის ჯგუფის (თავმჯდომარე ა. ბოლქვაძე) მიერ დაწესებული სისტემატური კონტროლის შედეგად დაზოგა ელექტროენერგიამ 123 ათასი კილოვატ-საათი შეადგინა, დაიზოგა 85,8 ტონა სპირტი, 9,65 ტონა ბენზინი და 39 ტონა დიზელის საწვავი. ჯგუფმა შეისწავლა აგრეთვე საშენი მასალების მიღების, შენახვისა და ხარჯვის, ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების, ტვირთვა-დაცლისა და შენახვის გაუმჯობესების საკითხები.

ასევე ნაყოფიერად მუშაობს წისქვილკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე გ. ბოკუჩავა), რომელმაც ელექტროენერგიის, თბოენერგიისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვის მასობრივ შემოწმებაში კარგ შედეგებს მიაღწია.

ფხიზელი თვალი

ბეგეშკორი. (სპეც. კორ.). **დაძაბული შრომითი შემოქმედების დღეებია. მეჩაიეები თავდადებულად შრომობენ სოციალისტური ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. მოწინავეთა შორის არიან სახალხო კონტროლიორები, რომლებიც ყოველგვარ ამინდში კრეფენ ჩაის ფოთოლს.**

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე შ. წოწორია) გამოარკვია, რომ სოფელ ხუნწის კოლმეურნეობაში ზოგიერთი მეჩაიე შემოუსვლელ ფოთოლს კრეფდა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჩაის ნედლეულის ხარისხს.

ამ სიგნალებს სწრაფად გამოეხმაურა საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომი. ადგილზე შემოწმდა ფაქტები. დაისახა ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის ორგანოებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე მრეფავთა მატერიალური დაინტერესების საკითხებზე. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საერთო წარმატებას. გეგეჭკორელებმა ვალდებულებანი ვადამდე გაანაღდეს.

სინათლე და ჩრდილი

ალაზანი ველზე აღობის ჟრიამული შენელდა. უკანასკნელ ჰექტარებს მკიან თელაველი მექანიზატორები. 5.190 ჰექტარი ნათესლიდან, რომელიც რაიონის მხვნელმთესველებს უნდა აეღოთ, 22 ივლისისათვის მომკილი იყო 4.500 ჰექტარზე მეტი. საშუალოდ ჰექტარზე 17-18 ცენტნერი მარცვალია გალეწილი ნაცვლად 12,8 ცენტნერისა. უფრო სასიხარულო კი ის არის, რომ, წინა წლებისაგან განსხვავებით, აღობის კვალდაკვალ წარმატებით მიმდინარეობს უხეშის საკვების დაროვებისა და ნაწვერალის ხვნა-თესვის სამუშაოები.

„მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია"! — გვაფიქრებს ფშავლის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე რ. მათირიშვილი) საშრობ კალოზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდული ლოზუნგი. მაგრამ თვით მასპინძლებს დავიწყებიათ ეს ჭეშმარიტება. 510 ჰექტარიდან 19 ივლისისათვის ასაღები იყო 70 ჰექტარი. ცხადია, მეტად გადამწყვეტებულ ნაკვეთებში ფშავლელებს დანაკარგები აქვთ. ელექტრონისა და რადიოს ქსელის ბოძების ირგვლივ დატოვებულია მოუმკელი კორომები.

უამინდობას უჩივიან ვარდისუბნელი მექანიზატორები, მაგრამ ხომ ასეთივე პირობებში მოუხდათ მეზობელ გულგულელ კოლმეურნეებს შრომა? საქმე ის არის, რომ სამკურნალოდ წასული საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი, ვარდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ძამუკაშვილი „შეცვალეს", მაგრამ საქმე ვერ დაძლიეს ახალგაზრდა მექანიზატორმა ნ. ჯაშიაშვილმა და აგრონომმა რ. ქამქაძემ.

კრიტიკას ვერ უძლებს ყარაჯალის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. მუსალიევი) საწყობის გამგის ჰუსეინ დემირიოვის გულგრილობა. მისი დაუდევრობით ნახურების პირზე იყო მისული ცისქვეშ დატოვებული ხორბლის 30-ტონიანი ხვავი. აქ კიდევ ასაღებია 48 ჰექტარი. თუ საჭირო ზომები დროულად არ მიიღეს, მოსალოდნელია მარცვლის გაფუჭება.

შემოწმების დღეს სახარბიელო მდგომარეობა არც იყალთოს კოლმეურნეობაში დაგვხვდა. მოსავლის აღების სამუშაოებს ორგანიზებულობა აკლია. მკის ტემპი უნდა გაძლიერდეს.

შემჩნეული ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, გვახსოვდეს, რომ წარმატების ბედი მაშინ წყდება, როცა საშრობიდან, მინდვრიდან მთლიანად გადაინაცვლებს გაწმენდილი მოსავალი საწყობში, როცა საიმედოდ დაიზვინება ნამჯა, დამთავრდება ნაწვერალის ხვნა-თესვა. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ იმისათვის, რომ დასახული ამოცანა წარმატებით გადაიკრას. უზრუნველყოთ საიუბილეო წლის ყველა დავალების სასახელოდ შესრულება.

რედიის მონაწილენი:
ა. კირკვალიძე, ნ. ბუაძე — თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები; **მ. ვარდოსანიძე** — სახალხო კონტროლის თელავის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე; **ჯ. რჩეულიშვილი** — „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტს" უპასუხებენ

კანონი მასწავლებლის მხარეზეა

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი სოფლად მომუშავე მასწავლებლების „კომუნალურ მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი, რომლის გამო რედაქციამ შემდეგი პასუხი მიიღო:

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილა გაზეთ „კომუნისტის" 12 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „კანონი მასწავლებლის მხარეზეა". სამინისტრომ აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით ამა წლის 21 ივლისს სათანადო დავალება მისცა ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, კერძოდ:

— მიმდინარე წლის 20 ივლისტომდე შეამოწმონ მასწავლებელთა და მედიცინის შუამავთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ კანონის და ინსტრუქციის განუხრელად შესრულება, სახელდობრ

— უზრუნველყონ კომუნალური მომსახურება ნატურით და არა ფულად მისი ფაქტიური ღირებულების განაღდებით სათანადო რაიონების საბიუჯეტო ასიგნობებიდან და არ დაუშვან ამ მომსახურებით გამოწვეული დავალიანება.

— შემოწმების შედეგები მოახსენონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, გაითვალისწინონ გამოვლინებულ დარღვევათა მოსსწორება და სკოლებთან და სამეურნალო დაწესებულებებთან კომუნალური ბინების მშენებლობის საკითხის მოგვარება, გამოიყენონ ამ დანიშნულებით თვითდაბეგვრის სახსრები.

საფინანსო ორგანოებს დაევალათ შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მომდინარე წლის 1 სექტემბრისათვის. თან მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ დამატებით ეცნობება რედაქციას.

ბ. ჰირაძაძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

კუს ნაბიჯით

ჩვენს გზეთში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო სიხეზერეში სასკოლო მშენებლობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. წერილთან დაკავშირებით სიხეზერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. იაკობიძე გვწერს:

გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 12 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კუს ნაბიჯით" აღნიშნული ფაქტები შემოწმებულ ზაფდასტურდა. რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა ბაჯათის რვაწლიანი სკოლის მშენებლობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად.

მიღებული ზომების შედეგად ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება სკოლის მშენებლობა.

მოსაგვარებელი საქმე

ცეცხლაურს კლუბი უნდა

ცეცხლაური (ქობულეთის რ.) ერთ-ერთი მძლავრი საბჭოთა მეურნეობაა, რომელსაც მრავალრიცხოვანი კოლექტივი ჰყავს. აქაური ადამიანები ენერგიულად შრომობენ, ქმნიან დოვლათს, მაგრამ, სამწუხაროდ, კულტურულ მომსახურებას მოკლებული არიან.

აქ დიდი ხნის წინათ კლუბისათვის აშენდა ნაგებობა. ხალხს უთხრეს, დროებით კლუბადაც გამოიყენეთ და სასადილოსთვისაც, შემდეგ კულტურის სასახლეს აგიგებთო.

ასე ჩადგა მწყობრში „კლუბ-სასადილო" (ეს სახელი უცნაურად ჟღერს!). როცა მხატვრული ღონისძიებებია დაგეგმილი, მუშებს აფრთხილებენ, რომ ვახშამი მალე დაამთავრონ. ვახშმის შემდეგ სასადილოს მაგიდებს ერთ მხარეს აწყობენ, მათს ადგილს სკამები იკავებს.

25 წელზე მეტია ასე გრძელდება. არ იქნა და ცეცხლაურელებს კეთილმოწყობილი კლუბი არ ეღირსათ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საყოფაცხოვრებო თემაზე

გასამრჯელო ვიზიტისათვის

ჩემი მეზობლის ბიჭი სულ წვერგაუპარსავი დადიოდა, მშობლები ხშირად ეჩხუბებოდნენ, მაგრამ არ იქნა და თავისი ხელით წვერის გაპარსვას ვერ მიეჩვია. უსაშინრო საპარსთაგან კი ახერხებდა სახის დაჭრას. წვერს მხოლოდ პარიკმახერთან იპარსავდა. სახელოსნოში შესვლა კი უძნელდებოდა, მანეთის გადახდა უჭირდა, ოჯახი სულმოკლედ ცხოვრობდა.

ჩემთან ხშირად დაუჩივლია:

— ყველას ხომ ვერ ავუხსნი ჩემს გასაჭირს, თქვენ კი გულადლიდად გეტყვით: თბილისის მთელ რიგ საპარიკმახეროებში წესრიგი არ არის. დადგენილი ფასების მიხედვით წვერს არავინ გაგაპარსავთ. ერთი მანეთი — ეს უკანასკნელი ფასია. თუ ვიანგარიშებთ, რომ კვირაში კაცმა სამჯერ მაინც უნდა გაიპარსოს წვერი, გამოდის, რომ თვეში 12 მანეთი მარტო წვერის გაპარსვაში უნდა გადაიხადოს. განა სხვა აღარაფერია საჭირო?

ალბათ ზოგი იტყვის — თუ არა გაქვს, ზედმეტს ნუ მისცემო. რამდენჯერმე ვცადე ნაკლების მიცემა, ამისათვის ოსტატს ჩემთვის თავი არ გაუტეხია, მაგრამ სამაგიეროდ თვალებს ისე გადამტრიალებდა ხოლმე, რომ მაგრძნობინებდა, ჩემთან მეტი აღარ მოსვლედო.

ერთ დღეს, სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ოთახში შესვლა არც კი მაცალა, კარებშივე მომადასა:

— ბიძია, მემეფლა, ელექტროსაპარსი შეგიძინე, იქნებ ახალი მანქანით მაინც მოვახერხო წვერის გაპარსვა და თავი დავაღწიო პარიკმახერის ბრალის ბრალს.

მართლაც, მალე ისე მიეჩვია წვერის გაპარსვას, რომ ღღის გამოტოვება ძალზე უძნელდებოდა. მის ოჯახში წვერის გაუპარსაობის გამო უსიამოვნებას ბოლო მოეღო. ახალგაზრდა მუდამ სუფთად დადიოდა, პარიკმახერისათვის მისაცემი ფული ჯიბეში რჩებოდა.

მას შემდეგ ხუთ წელზე მეტი გავიდა. ერთ დილას ელექტროსაპარსმა უმტყუნა, მუშაობდა, მაგრამ წვერს არ იღებდა. დიდხანს, დიდხანს ატრიალა სახეზე, მაგრამ ამაოდ...

ამ ამბავმა ძალზე დაადონა ახალგაზრდა. წვერსაპარსი ქაღალდში გაახვია და შესაკეთებლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ტექნიკისა და ლითონის ნაკეთობათა შემკეთებელ სახელოსნოს მიაკითხა.

— ელექტროსაპარსი გამიფუჭდა, თუ შეაკეთებთ? — შეეკითხა ერთ-ერთ ხელოსანს.

— როგორ არა, — ზრდილობიანად უპასუხეს და საპარსი გამოართვეს.

ჭაბუკს სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა.

ხელოსანმა საპარსი დაშალა, გაასუფთავა, ბევრი უკრიკიტა, მერე ისევ აიწყო, ელექტროდენში ჩართო, საპარსმა მუშაობა დაიწყო, მოსხმარებელს მიაწოდა და დასძინა:

— მუშაობს.

— ჩემო კარგო, — უთხრა ახალგაზრდამ, — ელექტროსაპარსი სახლში მუშაობდა, მაგრამ წვერს აღარ იღებს.

— ეგ სატკივარი მეც შევნიშნე შენს საპარსს. დერეფ აქვს მოცვეთილი, ახალი არა მაქვს რომ გამოვუცვალო. რაღაცეები შეეფასწორე, შეიძლება გაპარსოს.

ხელოსანს გასამრჯელო გადაუხადა. შინ დაბრუნდა, წვერის გაპარსვა სცადა, მაგრამ ამაოდ.

ამ დროს ოთახის კარი გაიღო და ამხანაგი ეესტუმრა.

— თუკაცი ხარ, — უთხრა ამხანაგმა, — ელექტროსაპარსი გამიფუჭდა, საპარიკმახეროში ნუ წამიყვან, ელექტროსაპარსი მათხოვე, ახლავე მოგიტან.

— როგორ, შენც გაგიფუჭდა?

— ერთ თვეზე მეტია. თბილისის სახელოსნოებში, სადაც კი მივედი, ყველგან უარით გამომისტუმრეს ნაწილები არა გვაქვსო. ერთხელ სხვა დროსაც გამიფუჭდა. კიაღოფოდსკში ვისვენებდი, იქ შევაკეთებინე, ახლაც გადაგზავნეტი, შვებულებაში რომ წავალ, თან წავიღებ და შევაკეთებინებ. რუსეთის ქალაქებში საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების შეკეთების საქმე ძალზე კარგად არის მოწყობილი. არ ვიცი, თბილისში რა ეშართვიათ. ნაწილები აქვთ და ხელოსნები ეშმაკობენ, თუ მათი მომარაგებისათვის არავინ ფიქრობს.

ამას გარდა, სხვა უწესრიგობაც ბევრია. რამე თუ შეაკეთებინე, ნიხრს არავინ დაგიდევს, შეკეთების ღირებულებას ხელოსანი თავისი შეხედულებისამებრ გახდიგენს.

— ეგ კიდევ არაფერი, — განაგრძო ამხანაგმა, — ამას წინათ ტელევიზორი გაგავფუჭდა. მამაჩემი ბავშვებმა აღარ მოასვენეს, მალე გააკეთებინეო. მამაჩემმა ტელევიზორებისა და რადიომიმღებების შემკეთებელ სახელოსნოში დარეკა, სთხოვა ტელევიზორების შემკეთებელი გამოეგზავნათ.

მისამართი ზუსტად ჩაუწერინა. რამდენიმე საათის შემდეგ ხელოსანი მოვიდა. ტელევიზორი გასინჯა, ზოგიერთი ნაწილი მოხსნა, რამდენიმე წუთს რადაცას ჩხირკედელაობდა.

საწყალი ბავშვები საცოდავად შეჰყურებდნენ ხელოსანს, მოთმინება აღარ ეყოფინდათ და ხშირად ეკითხებოდნენ:

— ბიძია ტელევიზორი ხომ იმუშავებს?

მას ბავშვებისათვის არც კი შეუხედავს, არც პასუხი გაუცია. ბავშვებისადმი მისმა ასეთმა გულცივმა დამოკიდებულებამ ძალზე დამაეჭვა.

ხელოსანმა მოხსნილი ნაწილები ტელევიზორს მოარგო, სწრაფად ანგარიში გამოწერა, თანხა გადაგვაგდევინა და წასვლა დაპირა.

მამაჩემმა გააჩერა და ჰკითხა:

— რომ მიდიხარ, ტელევიზორი იმუშავებს თუ არა?

— არა, არ იმუშავებს. გაფუჭებულია, ნაწილების გამოცვლა უნდა, ისინი კი ჩვენ არა გვაქვს.

— აბა რისთვის მოდიოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ფული წაგიღო?

— ასე გამოდის, მაგრამ რა ჩემი ბრალია.

ამ ამბავმა მამაჩემი ძალზე ააღელვა. მეორე დღეს სახელოსნოს ესტუმრა. უნდოდა გაეგო, ხელოსანმა ფული რაში გადაახდევინა.

კომბინატში მომჩივრები სხვებიც ბევრნი იყვნენ. ყველა ბრაზობდა. ერთსა და იმავეს იმეორებდნენ:

— საითაც გაიღო, ყველგან შეგხვდებათ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, სახელოსნოები, მაგრამ რის მაქნისია, თუ ვერაფერი შეაკეთებენ. ეს საქმე თბილისში არ იქნა და ვერ გამოსწორდა, ისევ კერძო ხელოსნების ხელში ვართ ჩავარდნილი.

სახელოსნოების გახსნამდე კერძო ხელოსნების ხელში ვიყავით — რასაც გვეტყოდნენ, ვიხდიდით, მეტი რა გზა იყო. საყოფაცხოვრ

1917 წლის აგვისი ფოტოლოკუმენტებში

სახლი რაზლივში. აქ 1917 წლის ივლისში სესტრორეცკის ქარხნის მუშის ნ. ა. ემელიანოვის ოჯახში ვ. ი. ლენინი ემალებოდა კონტრრევოლუციურ დროებითს მთავრობას.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება

მუშაობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის განცხადება

დელი, 25 ივლისი. (საკდესი). „იქამდე, ვიდრე ისრაელი არ გაიყვანს თავის ჯარებს არაბული ქვეყნების ტერიტორიებიდან, შეუძლებელია მშვიდობიანად მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება“, — განაცხადა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე მშვიდობის მხოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. ჩანდრამ.

რ. ჩანდრამ აღნიშნა, რომ ისრაელის აგრესია დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობათა მხარდაჭერითა და წაქეზებით. და თქვა, რომ ყველა პროგრესულმა მთავრობამ და ხალხმა დაგმეს ისრაელის აგრესია. დასასრულ რ. ჩანდრამ აღნიშნა, რომ ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი მხარს უჭერს და სოლიდარობას უცხადებს არაბეთის პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

გმოგბენ ლეიბორისტული მთავრობის პოლიტიკას

ლონდონი, 25 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

მწვავედ არის გაკრიტიკებული ინგლისს ლეიბორისტული მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა რეზოლუციების პროექტებში, რომლებიც ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და პროფკავშირებმა წამოაყენეს პარტიის მომავალ ყოველწლიურ კონფერენციასთან დაკავშირებით. ეს კონფერენცია სკარბოროში გიმართება 2-6 ოქტომბერს. რეზოლუციათა ბევრ პროექტში (ისინი დღეს გამოქვეყნდა) ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ უარი თქვა ყველა ძირითად დაპირებაზე, რომლებიც თავის ამომრჩეველებს მისცა პარლამენტის არჩევნების წინ და არჩევნების დროს. ეკონომიური საკითხებისადმი მიძღვნილი 66 რეზოლუციიდან 40-ზე მეტ რეზოლუციაში დიდი უკმაყოფილებაა გამოთქმული მთავრობის პოლიტიკის გამო ამ დარგში. ლეიბორისტულის პროფკავშირთა საბჭო და ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკა ნაკარნახევია არა მშრომელთა ინტერესებით, არამედ დიდი ბიზნესის ინტერესებით.

ინგლისის „საერთო ბაზარში“ შესვლის საკითხისადმი მიძღვნილ რეზოლუციათა უმრავლესობა ან წინააღმდეგია ამ აქციისა, ან მოითხოვს გადაისინჯოს მთავრობის პოლიტიკა, რათა ინგლისის შესვლამ საერთო ბაზარში არ გამოიწვიოს ცხოვრების გაძვირება.

არც ერთი რეზოლუცია არ უჭერს მხარს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას ვიეტნამის საკითხში. მაგალითად, ლეიბორისტული პარტიის ბრენტფორდისა და ჩიზიკის ორგანიზაციის რეზოლუცია „ვმობს ამერიკის აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ“ და მოუწოდებს ინგლისის მთავრობას „სრულიად გაემიჯნოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას“.

ყველა რეზოლუცია, რომლებიც ეხება საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის პრობლემებს, მოითხოვს სამხედრო ხარჯების რადიკალურ შემცირებას. ლეიბორისტული პარტიის ლონდონის ჰემპსტედის რაიონის ორგანიზაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს სოციალისტური პრინციპები, რისთვისაც მთავრობამ უნდა გადასინჯოს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული „განსაკუთრებული ურთიერთობა“, გამოვიდეს ნატოს, სეტოს, სეატოს სამხედრო ბლოკებიდან, გაიყვანოს ინგლისის ჯარები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და სუეცის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებიდან. ორი რეზოლუცია ვმობს საბერძნეთის სამხედრო დიქტატურას. მთელი რიგი ლეიბორისტული ორგანიზაციები აკრიტიკებენ მთავრობას იმისათვის, რომ მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის რასისტულ რეჟიმებს.

ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიური კონფერენციის დელეგატთა განსახილველად შეტანილ რეზოლუციათა პროექტები მოწმობენ, რომ ლეიბორისტული პარტიის წევრთა ყველაზე ფართო მასები უკმაყოფილნი არიან მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით. ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობას, უეჭველია, კონფერენციაზე ძნელი ბრძოლა მოელის.

„რეფერენდუმი“ პუერტო-რიკოში

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საკდესი). უცხოეთის სააგენტოები სან-ხუანიდან იუწყებიან, რომ გუშინ პუერტო-რიკოში გაიმართა „რეფერენდუმი“ ამ კუნძულის სტატუსის თაობაზე. კენჭისყრის მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ, იქნება თუ არა პუერტო-რიკო დამოუკიდებელი ქვეყანა, შევა თუ არა ახალ შტატად ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ დარჩება ეგრეთ წოდებულ „თავისუფლად შესული სახელმწიფოდ“. რეგისტრაციაში გატარებული 1,1 მილიონი ამომრჩეველიდან „რეფერენდუმში“ მონაწილეობა მიიღო 702 ათასმა კაცმა, 425 ათასმა ჯვარი დასვა ბიულეტენზე, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობის — ამერიკის შეერთებულ შტატებში „თავისუფლად შესული“ სახელმწიფოს სტატუსის მომხრენი არიან.

პროგრესულმა პარტიამ „პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობის მომრაობამ“, რომელიც გამოდის ლობუნგით „ძირს კოლონიალიზმი! გაუმარჯოს პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობას!“, პატიოტებს მოუწოდა ბოიკოტი გამოუცხადონ ამ „რეფერენდუმს“, რომელიც წმინდა წყლის ფარსი და მანევრია და მიზნად ისახავს სამუდამოდ დაამკვიდროს პუერტო-რიკოს კოლონიური დამოკიდებულება შეერთებულ შტატებზე.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იტყობინება, რომ „რეფერენდუმის“ დროს ფეხზე დადგა პუერტო-რიკოს მთელი პოლიცია და სპეციალური დაცვის 10 ათასზე მეტი წევრი.

შეერთებულმა შტატებმა ჯერ კიდევ 1917 წელს ჩარიცხეს პუერტორიკოელები „ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა“ რიცხვში, ხოლო 1952 წლიდან ეს კუნძული ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგრეთ წოდებული „თავისუფლად შესული“ სახელმწიფოს მდგომარეობაშია.

პუერტო-რიკოს არა აქვს თავისი გაზეთი, მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას ხელს ახლავენ ამერიკის შეერთებული შტატები განაგებენ. რადიო და სატელევიზიო სადგურებისათვის ლიცენზიებს გაცემაც კი პუერტო-რიკოს შეერთებული შტატები უწევენ კონტროლს.

1959 წელს ვაშინგტონში ამ პატარა ლათინურამერიკული ქვეყანას, რომელიც არსებითად შეერთებულ შტატებმა კოლონიად გაიხადეს, უარი უთხრა „ავტონომიის“ გაფართოებაზე.

როგორც ხმების წინასწარმა დათვლამ გვიჩვენა, შეერთებულმა შტატებმა შეძლეს კვლავ მოეხვიათ თავს პუერტორიკოელი ხალხისათვის ვაშინგტონისათვის სასურველი სტატუსი.

„ინტერფაქსი“ — ბერლინ-ბონ-ბერლინ

ბონი, 25 ივლისი. (საკდესი). „ინტერფაქსი“ — ეს ბერლინ-ბონ-ბერლინ ინფორმაციის ბიურო. ეს ბიურო ეკუთვნის ბონელ ბიზნესმენ ფ. ბ. ბ. ბ

ჩვენს ყალამ-ყალეში

გვაცუოგინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ნაირ-ნაირი

△ **რუსთავი.** (საკ. კორ.). „რიტმი“ — ასე ეწოდება ქიმიკოსთა საელტრადო ანსამბლს, რომელიც ამ დღეებში წარმატებით გამოვიდა მაყურებლების წინაშე. ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ა. შარაშენიძე, შეასრულა გ. ცაბაძის „მთაწმინდის მთვარე“, ბ. ჩირინაშვილის „ყვავილების მეუფე“ და კალმანოვსკის „მორბის ქალინარე“.

△ **ვანი.** (საკ. კორ.). სოფელ ამაღლების თვითმოქმედი კოლექტივი კარგ მომსახურებას უწევს მოსახლეობას. განსაკუთრებით ღირსშენიშვნავია დრამატული წრის ნაყოფიერი შრომა. იგი ხშირად მართავს კონცერტებს, წარმოდგენებს.

წელს დრამატულმა წრემ რამდენიმე კარგი დადგმა განახორციელა, მათ შორის ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ და ალ. აფხაიძის „შეხვედრა“.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲙᲝᲠᲝᲨᲐᲫᲔ — ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ᲠᲐᲥᲔᲓᲔᲜ ᲯᲘᲜᲯᲝᲚᲘᲐ — ლენინური წინასწარხედვა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. საზოგადოებრივი რედაქტორი ბ. ლუტიძე, რედაქტორი ი. ნანუკაშვილი, მხატვარი ვ. გიორგობიანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ᲑᲘᲕᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ძველი და ახალი ტრადიციები. რედაქტორი ნ. გონაშვილი, მხატვარი ო. ვარვარიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ — ბერლინის ოპერაცია. რედაქტორი ნ. აღნიაშვილი, მხატვარი ო. ვარვარიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ᲡᲐᲮᲐᲚᲩᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის, საქართველოს სახალხო მხატვრის ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც ამ დღეებში ქუთაისში გაიმართა.

ი. ნიკოლაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ი. ურუშაძე. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნ. კანდელაკი, მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ვ. მიზანდარი.

ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ?

ᲑᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). გუშინ გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის ფოიეში გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1967 წლის ძუშვიდე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი, რომელშიც გათამაშდა 155 ათასი მოგება 279 ათასი მანეთის ღირებულებისა.

ტირაჟის ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნებამდე ვბეჭდავთ რამდენიმე დიდი მოგების ნომერს.

ავტომანქანა **„ᲕᲝᲚᲒᲐ“** მოიგეს 57285 სერიის № 144 და 56221 სერიის № 263 ბილეთების მფლობელებმა.

ავტომანქანა **„ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘ“** ხვდათ 56511 სერიის № 376, 56733 სერიის № 171, 57518 სერიის № 255, აგრეთვე 57558 სერიის № 168 და 58713 სერიის № 033 ბილეთებს.

ავტომანქანა **„ᲜᲐᲪᲝᲠᲝᲛᲔᲪᲘᲡ“** მიიღებენ 57278 სერიის № 286, 57377 სერიის № 300 და 57791 სერიის № 110 ბილეთების მფლობელები.

ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲔᲑᲘ ერგოთ 56066 სერიის № 426, 56135 სერიის № 494, 57517 სერიის № 121, 57628 სერიის № 058 და 58635 სერიის № 088 ბილეთების პატრონებს.

ᲰᲔᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გერმანელი კომპოზიტორის ჰენდელის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალები ყოველწლიურად იმართება კომპოზიტორის მშობლიურ ქალაქ ჰალეში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოდიან მუსიკოს შემსრულებლები და მუსიკათმცოდნეები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. იმართება კამერული, სიმფონიური მუსიკის საღამოები, საოპერო სპექტაკლები, თეორიული კონფერენციები.

წელს ჰენდელის სახელობის XVI საერთაშორისო ფესტივალზე საბჭოთა დელეგაცია წარსდგა 7 მუსიკოსით სსრ კავშირის სახალხო არტისტის, უკრაინის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის გიორგი მაიბოროდას ხელმძღვანელობით. ჩვენი რესპუბლიკიდან დელეგაციის შემადგენლობაში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მუსიკათმცოდნე ვაჟა გვახარია. ფესტივალში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ჰალეში გაიმართა ჰენდელის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმში აირჩიეს 25 კაცი, აქედან 6 უცხოელი. მათ შორის არიან გამოჩენილი ინგლისელი კომპოზიტორი ალან ბუში, ინგლისის მუსიკათმცოდნეობის პრეზიდენტი ეპერსი იანგი, იენს ლარსენი (კოპენჰაგენი), ამერიკის საგუნდო საზოგადოების თავლსაჩინო მოღვაწე პროფესორი ალფრედ გენი და საბჭოთა კავშირიდან მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი ბორის იარუსტოვსკი და მუსიკათმცოდნე ვაჟა გვახარია.

ქალაქ ჰალეს მთავრობის თავმჯდომარემ ოფიციალურ დარბაზობაზე ჰენდელის სახელობის მე-16 საერთაშორისო ფესტივალის პრემია გადასცა საბჭოთა მუსიკათმცოდნეს ვაჟა გვახარიას. ეს პრემია ქართველ მეცნიერს მიეკუთვნა მის მიერ ჰენდელის შესახებ დაწერილი გამოკვლევებისათვის, ჰენდელის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნისა და საერთოდ ძველ მუსიკაზე დაწერილი შრომებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჰენდელის სახელობის პრემია მიენიჭა საბჭოთა მუსიკათმცოდნეს.

ვ. გვახარიამ ლაიპციგის უნივერსიტეტთან არსებულ მუსიკათმცოდნეობის ინსტიტუტსა და ჰალეს მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტის მუსიკათმცოდნეობის ინსტიტუტში გერმანულ ენაზე წაიკითხა ლექციები თემაზე „X საუკუნის ძველი ქართული მუსიკალური ნიმნები“. ლექციებმა გერმანული მუსიკალური საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: (მარცხნიდან) უკრაინის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გ. მაიბოროდა, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ რედაქტორის მოადგილე ი. პოპოვი, ვ. გვახარია, ლენინგრადის კონსერვატორიის პროფესორი მ. დრუსკინი.

ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲝ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲛᲨᲠᲐᲚ“ ᲒᲣᲚᲖᲔ

ეზოში ბავშვები დარბოდნენ, ბურთს თამაშობდნენ. ხუთი წლის ნანაც მათთან იყო.

— აბა დამიჭირე, — უთხრა მას პატარა გოგონამ და გაიქცა. ნანა გამოედევნა, მაგრამ როგორც კი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, უცბად შეჩერდა, ჩაიცუცქა, სულს ძლივს-ღა ითქვამდა. მეზობლების კიბეზე შენინებული დედა გამოვარდა სახლიდან.

— ხომ გითხარი, არ ირბინო-მეთქი, — აიყვანა ბავშვი ხელში და გულში ჩაიკრა.

— კი, მაგრამ როდემდის გინდათ ასე აწვალოთ ბავშვი, აჩვენეთ ექიმებს. ვნახოთ, რას გეტყვიან, — ურჩიეს ქალს მეზობლებმა, რომელთაც არაერთხელ ენახათ გოგონას გასაჭირი.

და აი ნანა მოხვდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის I ქირურგიულ კლინიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინური პრემიის laureატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნიკოლოზ ანთელავა.

ექიმებმა გასინჯეს ბავშვი. მას აღმოაჩინეს თანდაყოლილი თერმი ტიპის გულის მანკი. ბავშვის განკურნება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქირურგიული ჩარევით.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პირველ ქირურგიულ კლინიკაში, რომელიც ქალაქის პირველ საავადმყოფოს ბაზაზეა შექმნილი (მთავარი ექიმი ვ. მაღრაძე), ოპერაციები გულზე უკვე დიდი ხანია წარმოებს, მაგრამ ეს იყო ლიკვიდირება შეძენილი მანკებისა, რომლებიც გულში გაჩენილი იყო რაიმე ავადმყოფობის შედეგად.

თანდაყოლილი გულის მანკების ოპერაციისათვის მზადება კი აქ სამი წლის წინათ დაიწყეს. მის შესწავლას კლინიკაში ხელმძღვანელობს პროფესორი ვახტანგ ფიფია. ექსპერიმენტულად დამუშავდა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის მეთოდი. მთელი კოლექტივი — ქირურგები, კარდიოლოგები, თერაპევტები, ბიოქიმიკოსები, ანესტეზიოლოგები ხვეწდა კოლექტიური მუშაობის მეთოდს, რადგან „მშრალ“ გულზე ოპერაციის დროს, როცა ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი კისრულობს ადამიანის მაცოცხლებელი ორგანოების გულისა და ფილტვების მოვალეობას, საჭირო ხდება მთელი ორგანიზმის ზედმიწევნით შესწავლა.

უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის გადასხმის სადგურის მუშაობასაც. სადგურის მუშაკები წინასწარ შერჩეული დონორების საშუალებით საჭირო რაოდენობით აწვდიან სისხლს სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატისათვის.

ამ თვენახევრის წინათ კლინიკაში ოპერაცია გაუკეთდა ლურჯი ტიპის თანდაყოლილი გულის მანკით დაავადებულ ბავშვს მ. გ-ს.

ოპერაცია შეასრულა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ელგუჯა თოთაძემ აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავას უშუალო მონაწილეობით.

ბავშვის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ის მაინც სავსებით არ არის განკურნებული. მას ეს ოპერაცია იმიტომ გაუკეთდა, რომ გაძლიერებულიყო ორგანიზმი, ბავშვი მომზადებულიყო მეორე ოპერაციისათვის, რიგა სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატის დახმარებით მთლიანად ლიკვიდირებული იქნება ბავშვის გულში არსებული მანკები.

კლინიკაში ნანას გაუკეთდა ლაბორატორიული შემოწმება. პროფესორ ვახტანგ ფიფიას ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ოპერაცია თანდაყოლილ გულის მანკზე, მოხდა წინასწარი დიაგნოზის შემოწმება. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. რევაზიშვილმა და რენტგენოლოგმა შ. ბრეგვაძემ გოგონას გულში შეიყვანეს წვრილი ელასტური ზონდი, რომლის მოძრაობით რენტგენის სურათმა აღბეჭდა დეფექტის მდგომარეობა, მისი სიდიდე, გამიორკვა გულს შიდა წნეკი. დიაგნოზი დადასტურდა. დაინიშნა ოპერაციის დღე.

დილითვე სისხლის გადასხმის ქალაქის სადგურის ფილიალიდან (დირექტორი ნ. მღებრიშვილი, ფილიალის მთავარი ექიმი თ. ისაკაძე, დონორის განყოფილების გამგე თ. სანაკოევა) აიღეს სისხლი, მაგრამ ამავე დროს დონორები განყოფილებაში მორიგეობდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში კვლავ გაეღოთ სისხლი.

კლინიკაში ყველა თავის პოსტზე იდგა — იწყებოდა ბრძოლა სიცოცხლისათვის.

ოპერაციაში მონაწილე ექიმთა კოლექტივი ერთხელ კიდევ ამოწმებს აპარატურის მზადყოფნას. ანესტეზიოლოგებმა ნ. ჭუჭიშვილმა, ს. ცხოვრებოვმა, ლ. მარსაგიშვილმა ჩართეს აპარატურა, გოგონას მისცეს ნარკოზი. 15 წუთის შემდეგ ბავშვს დაეძინა. ამუშავდა მთელი კოლექტივი. თერაპევტები უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. ღამბაშიძე, ექიმი ნ. ლომაძე თვალყურს ადევნებენ ელექტროკარდიოგრამის მონაცემებს, ელექტროენცეფალოგრაფი მეცნიერ მუშაკს ა. გოცირიძეს ატყობინებს ტვინის ბიოდენების ცვლილებებს.

საოპერაციო მაგიდასთან მშვიდად დგას პროფესორი ვახტანგ ფიფია, ბავშვს სძინავს. აქვე არიან ოპერატორის დამხმარე ქირურგები უფროსი მეცნიერი თანამშრომლები ელგუჯა თოთაძე, გივი ეთერა, ე. ზიბინი.

ვახტანგმა სკალპელით გახსნა გულმკერდი, გამოჭყო ზემო და ქვემო ღრუ ვენა, რომელსაც შეეერთა სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატიდან წამოსული ელასტური სისხლის შემცველი მილები. ამ მილების მეშვეობით სისხლი გულში გაუვლელად მიდის აპარატში. მაშასადამე, გულში სისხლი იწრიტება. გოგონას გული თითქოს „გაჩერდა“. აძლევენ ნიშანს, რომ სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატი ჩართულია. ე. ამჩესლავსკი, დ. ბრეგვაძე, ა. სიტაროლ დაძაბული ადევნებენ თვალს აპარატის მდგომარეობას. ხელოვნური „გული“ და „ფილტვები“ კარგად მუშაობენ. გული თანდათან იკუმშება, ჩანს მისი სიცარიელე. თვალნათლივ გამოჩნდა წინასწარ დასმული დიაგნოზის სიზუსტე: ფილტვის სარქველების შეკვრეობა და წინა გულის ძგიდის დეფექტი (ფალოს ტრიადა). სწრაფად მოძრაობს ოპერატორის ხელები. იგი პირველ რიგში აფართოებს ფილტვის არტერიის სარქველების შეკვრეობას, ხოლო შემდეგ კვეთს მარჯვენა წინა გულს, ძგიდის დეფექტს ხურავს კვანძოვანი ნაკერით. ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ უეცრად გულმა ქოსურად დაიწყო ცემა. ეს აპარატმა აღნიშნა და ქირურგმაც იგრძნო. უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ჭუმბრიძემ სასწრაფოდ ჩართო სისხლში შემყვანი მაღალი ძაბვის დენის სპეციალური აპარატი დეფიბრილატორი, რომელმაც გულს ელექტროდენის დახმარებით დაუბრუნა რიტმული ცემა.

ოპერაცია დამთავრდა, ყველა ერთმანეთს ულოცავდა გამარჯვებას. მაგრამ ბრძოლა ბავშვის სიცოცხლისათვის კიდევ მთელი ორი კვირის განმავლობაში არ დამთავრებულა.

მთელი კლინიკა თავს დაესტრიალებდა პატარა ნანას. ერთი დღეღამის განმავლობაში გოგონა კვლავ ხელოვნურ სუნთქვაზე იყო. თანდათანობით გამოიყვანეს ბავშვი მუსუქი ნარკოზის მდგომარეობიდან.

დღედაღამ მორიგეობდნენ ექიმები ნანას საწოლთან, და ადამიანების ნებამ გაიმარჯვა, ბავშვის მდგომარეობა გაუმჯობესდა—კარკად გრძნობს თავს.

— ასე რომ, — გვითხრა აკადემიკოსმა ნ. ანთელავამ, — საქართველოს სამედიცინო ისტორიაში პირველად წარმოებულმა ოპერაციამ „მშრალ“ გულზე წარმატებით ჩაიარა. იმედია ჩვენი კლინიკის ექიმები ასევე წარმატებით განახორციელებენ თანდაყოლილი მანკების სხვა ოპერაციებსაც. ამისათვის კლინიკას ყველა პირობა აქვს შექმნილი.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: პროფესორი ვ. ფიფია და პატარა ნანა.

ᲒᲖᲐ ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ

ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘ... დიდი ხანია ჩადგა იგი საქართველოს მშვენიერ კურორტთა რიცხვში. ეს არც არის გასაკვირველი, რადგან მისი მიდამოები უხვად დაუჯილდოებია ბუნებას კურორტისათვის საჭირო ყველა ატრიბუტით: მთის გრილი ჰაერით, ალგეთის ანკარა წყლით, ნაძვების ხშირი ხეივნებით, ჩინებული გეოგრაფიული მდებარეობით.

სწორედ ამიტომ იქცა იგი საქართველოში ჯანსაღი დასვენების ერთ-ერთ კერად. ამ ბოლო დროს მანგლისის იშვიათ პეიზაჟებში ჩაიხატა მრავალი სანატორიუმი, პიონერთა ბანაკი და სბბავშვთა სახლი. ჯანმრთელობის ამ დაწესებულებებში ისვენებენ და მკურნალობენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები.

კურორტზე ახლა ნამდვილი დასვენების დღეებია. დილიდანვე ისმის ბავშვთა ყრიამული. შუადღისას კი, როცა ზაფხულის მზე აქაც ცდილ თავის ძალას, სანატორიუმები, ბანაკები და სახლები წყნარდებიან, მაგრამ ახლოს ჩამოსულიც კი ადვილად მიხვდება, რომ კურორტი სალამოს მოლოდინშია. სალამო აქ მართლაც დიდებულია. ფილტვებს ავსებს სალი ჰაერი, გარემო ზაფხულისათვის უჩვეულო სიგრილით ივსება.

ასეთი მიდამო მუდამ გამახსოვრდება კაცს. რაკი ერთხელ იხილავ, არ შეიძლება კვლავ არ აღგეძრას მისი ნახვის სურვილი. სწორედ ამიტომ არის, რომ მანგლისს უამრავი თბილისელი მიაშურებს ხოლმე კვირადღეს. ბავშვების მშობლებისა და დამსვენებელთა ახლობლების გარდა, აქეთ მოეშურებიან „უქმე დღის ტურისტებიც“. ყველგან შეხვდებით კარვებს, ზურგჩანთიან მოგზაურებს რომ გაუმართავთ.

ამ დღეებში ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ეხტუმრა კურორტ მანგლისს. ფოტოობიექტივმა ფირზე აღბეჭდა კურორტის დამსვენებელთა ცხოვრების ამსახველი მომენტები; ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ზემოთ (მარცხნივ) № 1 პიონერთა სახლის ბიჭები. (მარჯვნივ) ფოთლოვანი ტყის ერთ-ერთი კუთხე. ქვემოთ — მანგლისის ტყეში.

ფოტო ილ. ბაევისა.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ სტარტი აიღეს წყალბურთელებმა. პირველი მატჩის შედეგები ასეთია: უზბეკეთი-მოსკოვი — 4:10, რსფსრ-მოლდავეთი — 13:2, ლატვია-ბელორუსია— 1:9, საქართველო-ლიტვა — 9:3.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე ორი დღეა დათმობილი აქვთ ტანმოვარჯიშეებს. გუშინ მათ შეეერთდნენ აგრეთვე ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც პიონერთა სასახლეში იასპარეზებენ. როგორც ვიუწყებოდით, ასპარეზობის პირველ დღეს, დილის ვარჯიშების შედეგებით წინ იყვნენ საქართველოს ტანმოვარჯიშეები. ამ ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღიათ უკრაინის, რსფსრ-ის, ბელორუსიის, ლენინგრადისა და მოსკოვის გუნდებს. ხოლო სალამოს, როცა ეს კოლექტივებიც ჩაებნენ ასპარეზობაში, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ახლა უკვე წინ მოსკოველები აღმოჩნდნენ — 256,9 ქულა, საქართველოს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი 251,85 ქულით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. პირად ასპარეზობაში საკალდებულო ვარჯიშის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა ლენინგრადელი ნ. კუჩინსკაია — 38 ქულა, მეორე ადგილზეა — ლ. პეტრიკი (ბელორუსია) — 37,4, მესამეზე — პ. ასტახოვა (უკრაინა) — 37,35, მეოთხეზე ა. ჯანუყაშვილი (საქართველო) — 37,25 ქულა. გუშინ ნებისმიერი ვარჯიშით გამოვიდნენ ვაჟები.

ლუუნიკის კორტებზე ჩოგბურთელთა გუნდური ასპარეზობის მონაწილეებს მძაფრი ბრძოლა აქვთ. საქართველოს გუნდი, რომელიც ფინალში დაუმარცხებლად გამოდის, 24 ივლისს ისვენებდა. აი სხვა მატჩების შედეგები: ბელორუსია-ლენინგრადი — 5:5, უკრაინა-რსფსრ — 6:5, ლატვია-ესტონეთი — 6:7, უზბეკეთი-აზერბაიჯანი — 5:6. საქართველოს გუნდს უარეს შემთხვევაში უკვე უზრუნველყოფილი აქვს მეოთხე ადგილი.

მოკადრაკეთა ასპარეზობის მეორე ტურის სენსაციას ტ. პეტროსიანის დამარცხება წარმოადგენდა. საერთოდ, მოსკოველები ადვილად „გაუსწორდნენ“ თურქმენეთის გუნდს, დამარცხეს ინგარიშით 7,5:2,5. აზერბაიჯანელებმა მოუგეს ტაჯიკეთის გუნდს— 8:2, უკრაინელებმა — ყირგიზეთის გუნდს — 6:3 (ერთი პარტია გადადებულია), ბელორუსიის მოკადრაკეებმა — მოლდავეთის კოლექტივს — 6:3 (ერთი პარტია გადადებულია), რსფსრ-ისა და ლენინგრადის, სომხეთისა და ესტონეთის გუნდების შეხვედრების შედეგები დამოკიდებულია გადადებული პარტიების დამთავრებაზე. ჭერჭრობით თითო ქულით წინ არიან ლენინგრადისა და სომხეთის მოკადრაკეები. გუშინ საქართველოს გუნდმა მოუგო ტაჯიკეთის გუნდს 6,5:1,5. ორი პარტია გადაიდო.

თანამედროვე ხუთჭიდელებმა 25 ივლისისათვის სამი სახეობა გაიითამაშეს. სატურნირო ცხრილის სათავეში დგას ი. მოსკვიჩევი (ლიტვა) — 3.018 ქულა. გუნდურ ასპარეზობაში წინ არის ლიტვის გუნდი — 8.400 ქულა. საქართველოს გუნდს მერვე ადგილი უჭირავს. მესამე სახეობაში — სროლაში წარმატებით გამოვიდა მოსკოველი ა. მაკეევი. ჩვენი გუნდიდან საუკეთესო იყო ა. კრავჩენკო, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა.

ცხენოსნები განაგრძობენ სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლას დაბრკოლებათა გადალახვაში. უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ის მხედარი გ. სამოსელენკო. აფროსნობაში წინ არიან მოსკოველები. საქართველოს გუნდს მეათე ადგილი უჭირავს.

და, ბოლოს, გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელიც სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მოაწყო სპარტაკიადაზე აკრედიტებული ხაბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. როგორც აქ გვაცნობეს, სპარტაკიადას ემსახურება 600 საბჭოთა და 65 უცხოელი ჟურნალისტი. ამათ გარდა, საზღვარგარეთიდან მოწვეულია ბევრი სტუმარი, მათ შორის მეხიკოს მოშვავლ ოლიმპიურ ასპარეზობათა ორგანიზატორები. სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადისა და მოპოვებულ წარმატებათა შესახებ ილაპარაკა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ ი. მაშინმა. მან აღნიშნა ის დიდი სპორტული წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 50 წლის მანძილზე.

Ვ. ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 25 ივლისი.

ᲓᲣᲚᲔᲑᲘ...

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ
25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1. მოსკოვი — 385 ქულა
2. რსფსრ — 375
3. უკრაინა — 367
4. ლენინგრადი — 288,5
5. ლიტვა — 267,5
6. საქართველო — 261
7. ბელორუსია — 260
8. ყაზახეთი — 253
9. ესტონეთი — 239,5
10. ლატვია — 237
11. აზერბაიჯანი — 220
12. უზბეკეთი — 213
13. მოლდავეთი — 148
14. სომხეთი — 139,5
15. ყირგიზეთი — 123
16. ტაჯიკეთი — 87
17. თურქმენეთი — 83

ᲒᲝᲚᲝ ᲡᲕᲔᲢᲖᲔ

ᲞᲠᲐᲒᲘ ᲛᲔᲒᲐᲓᲣᲠᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ

ᲙᲚᲐᲘᲞᲔᲓᲐ, 24 ივლისი. (საკდესის კორ.). გემ „ყუბანის“ ეკიპაჟის მიერ არაბ მებადურთა გადარჩენას იუწყებიან დღევანდელ რადიოგრამაში, რომელიც კლაიპედის საზღვაო საგანტომ მიიღო გემიდან.

განიტვირთა რა ელ-კუვეიტის ნავსადგურში, „ყუბანმა“ კურსი აიღო ბომბეიისაკენ. სპარსეთის ყურიდან გასვლისას საბჭოთა მეზღვაურებმა შორს შენიშნეს გემის ნამტვრევებისაგან შეკოწიწებული ტივი და ამ ტივზე შვიდი ადამიანი. გემის კაპიტანმა მ. ვორონცოვმა უბრძანა დაუყოვნებლივ შეეცვალათ კურსი. მალე მებადურები გემზე აიყვანეს.

გადარჩენილმა არაბმა მებადურებმა თქვეს, რომ მათი გემი რამდენიმე წუთში ჩაიძირა. ეკიპაჟმა ძლივს-ძლივობით მოახერხა ტივის შეკვრა. რამდენიმე დღეს დაცურავდნენ მებადურნი ტივით უსმელ-უჭმელნი. მათ ყოველ წუთში დაელტვა მოელოდათ.

მებადურები გემმა მიიყვანა მასკატის ნავსადგურში.

ᲬᲘᲜᲐᲙᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ სურათს ნახავდით ამას წინათ ბულონის ტყეში — პარიზელთა საყვარელ გასასეირნებელ ადგილში. ერთგან ტყის პირას ჩამწკრივებულიყო რამდენიმე ათეული ავტომობილი, რომელთა გარეგნობა თავისთავად მეტყველებდა: ეს იყო 1898-დან 1922 წლამდე. გამოშვებულ მანქანათა მოდელები.

ამ მანქანების მფლობელთ გადაუწყვეტიათ მოეწყოთ თავისებური აუქციონი, ეპოვნათ სიძველის მოყვარულნი, რომლებიც დაინტერესებდნენ ახლა ხდელ სწრაფი „რენოებისა“ და „სიტროენების“ შორეული წინაპრებით, და მათი იმედი კიდეეაც გამართლდა — დასათვალიერებლად გამოტანილი თითქმის ყველა ლიმუზინი გაიყიდა, თანაც საკმაოდ მაღალ ფასად. მოდა ადამისდროინდელ ტექნიკაზე პარიზელ სნობებმა წლითიწლობით სულ უფრო ფასი თოვდეს. ბევრი მათგანი მზად არის რადაც უნდა დაუჯდეს გაეგირეოს თავისი ნაცნობ-მეგობრები — გალსეირნოს „ჰამილკართან“ ან „დე დიონით“, რომლებთაც ოდესღაც მათი პაპები მგზავრობდნენ.

Ა. ᲙᲠᲐᲡᲚᲘᲙᲝᲕᲘ,
საკდესის კორ.
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ გაიხსნა II სრულიად საკავშირო გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სახვითს ხელოვნებაში“. ეს გამოფენა მოეწყო სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადასთან დაკავშირებით და ეძღვნება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საგამოფენო პავილიონში ექსპონირებულია 500 ნამუშევარი — ფერწერული ტილოები და ქანდაკება, მონუმენტური და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სამასამ მხატვარმა წარმოადგინა აქ თავისი ნაწარმოებები. (საკდესის კორ.).

ᲤᲘᲚᲢᲕᲘᲖᲘᲠᲘ

26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

09.30 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.40 — მხატვრული ფილმი „გამარჯობა, ეს მე ვარ“ (I და II სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — მოსწავლეთათვის „ვიტა-პენტუნგა“ (გადმოცემა მოსკოვიდან ინტერვიზიისათვის), 19.00 — განცხადებები, 19.05 — გადაცემა საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულიდან „მეთამბაქოობა საქართველოში“, 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა „რევოლუციური ტრადიციების საწარმო“ — თბილისის ორთქლმავალ-ეაგონშემკეთებელი ქარხანა, 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — გადაცემა „ერთი დღე მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე“, 20.55 — კონცერტი პოლონეთის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 21.25 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.40 — მხატვრული ფილმი „გამარჯობა, ეს მე ვარ“ (II სერია), 22.50 — გადაცემათა პროგრამა 27 ივლისისათვის, 22.55 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲪᲠᲔ ᲐᲠᲮᲘᲗ — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 17 ს. 50 წ.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲔᲘᲠᲗᲗ